

ამინომჟავების FMOC-ნაწარმების ენანტიომერების ელუირების რიგის დადგენა
სითხურ ქრომატოგრაფიაში ცელულოზას ნაწარმი პოლისაქარიდული ქირალური
სტაციონალური ფაზებისა და მოძრავ ფაზად მეთანოლისა და აცეტონიტრილის
გამოყენებით

ნინო ღიბრაძე, ბეჟან ჭანკვეტაძე

Nino.ghibradze001@ens.tsu.edu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტი
და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკური და ანალიზური
ქიმიის კათედრა, ი.ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ II კორპუსი, 0179

ე.წ. N-დაცული α -ამინომჟავები ფართოდ გამოიყენება როგორც ქირალური საწყისი
ნივთიერებები ფარმაცევტულ ქიმიასა და ბიოქიმიის სფეროდ აღნიშნულის გამო დიდი
მნიშვნელობა ენიჭება ანალიზური მეთოდების დამუშავებას, რომელიც საშუალებას
მოგვცემს დავადგინოთ სინთეზირებული ამინომჟავების ენანტიომერული სისუფთავე და
გარდა ამისა, დამუშავდეს ახალი მეთოდები, რომლებიც ენანტიომერულად სუფთა
ამინომჟავის მიღების საშუალებას იძლევა.

ფტორმეთოქსიკარბონილის (FMOC) ჯგუფი წარმოადგენს დამცავ ჯგუფს α -ამინო
მჟავებისათვის და გარდა ამისა განაპირობებს მაღალ მგრძნობიარობას ფლუორესცენტული
დეტექტირებისათვის და ასევე სძენს α -ამინო მჟავებს სინათლის შთანთქმის უნარს
ულტრაიისფერ უბანში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ქრომატოგრაფიული
ანალიზის დროს.

ნაშრომში შესწავლილია FMOC ამინომჟავების ენანტიომერების ელუირების რიგი
პოლისაქარიდული ტიპის ქირალური სტაციონალური ფაზის და სხვადასხვა მოძრავი
ფაზების გამოყენებით. ექსპერიმენტის ფარგლებში დაგეგმილია FMOC ამინომჟავების
ენანტიომერების ელუირების რიგის შესწავლა სხვადასხვა ქირალური სტაციონარული
ფაზების, ასევე განსხვავებული მოძრავი ფაზების და ამ მოძრავ ფაზებში სხვადასხვა
დანამატების გავლენით.

სამუშაოს პირველ ეტაპზე შევისწავლეთ FMOC ამინომჟავების ენანტიომერების ელუირების
რიგზე ცელულოზას საფუძველზე მომზადებული ახალი ტიპის პოლისაქარიდული
ქირალური სტაციონალური ფაზების, ასევე მოძრავი ფაზების ბუნების და ტემპერატურის
გავლენა.